

ChildPact

COALITION FOR CHILD PROTECTION
IN THE WIDER BLACK SEA AREA



Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის



არავითარი მიზეზი დღესასწაულისათვის: ბრუნვის
სისტემიდან გასვლა საქართველოში

არსებული ვითარება ბავშვთა დაცვის სფეროში - საქართველოს კონტექსტი

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა გარდამტეხ
ფაზაში შევიდა. სახელმწიფომ მნიშვნელოვან წარმატებას
მიაღწია დიდი ზომის ბავშვთა სახლებშიმცხოვრები
ბავშვების რაოდენობის შემცირების თვალსაზრისით (6000-
დან 200 ბავშვამდე).

მცირე საოჯახო ტიპის სახლების რაოდენობების ზრდისა და
მინდობითი აღზრდის სისტემის დანერგვითა და განვითარებით
ახალი ცხოვრება დაიწყო ათასობით სახელმწიფო ზრუნვის
ქვეშ მყოფი ბავშვისათვის. დიდი ზომის რეზიდენტული
დანესებულებების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული
ალტერნატიული ზრუნვის სხვადასხვა მომსახურებით
ჩანაცვლება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში მცხოვ-
რები უკიდურესად მონყვლადი ბავშვებისათვის.

თუმცა, მზრუნველობის სისტემა ჯერჯერობით არ ითვა-
ლისწინებს ახალგაზრდების ყველაზე მონყვლად ნაწილს:
ახალგაზრდებს, რომლებიც 18 წლის ასაკის მიღწევას
შემდეგ ტოვებენ ინსტიტუციებს ან სახელმწიფო ზრუნვის
სხვადასხვა ალტერნატიულ სერვისებს და ჯერ არ არიან
მზად ცხოვრებისათვის. ეს საქართველოს სახელმწიფო
მზრუნველობის სისტემაში საკმაოდ სერიოზული და
სახიფათო ხარვეზია. სახელმწიფო რეგულაციების
თანხმად, ახალგაზრდები სახელმწიფო ზრუნვას 18
წლის ასაკში ტოვებენ. დიდ დანესებულებაში, მინდობით
აღზრდასა თუ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვის

მეთვრამეტე დაბადების დღე სულაც არ არის დღესასწაულის
საბაბი. ყოველ წელს დაახლოებით 35-45 ახალგაზრდა
მარტოდმარტო ტოვებს სახელმწიფო ზრუნვას. სოციალური
დახმარების, განათლების, მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა
დასაქმების შესაძლებლობების გარეშე ბევრს არ შეუძლია
საკუთარი თავის უზრუნველყოფა და თავის გადასარჩენად
დანაშაულებრივ საქმიანობაში ან პროსტიტუციაში ერთვება.
ამ მოზარდების შესაძლებლობები მიიღონ განათლება,
პროფესიული ან ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები
საკმაოდ მწირია. სოციალური კაპიტალისა და მოზარდებში
საჭირო უნარების განვითარების გარეშე დანაშაულისა
და პროსტიტუციისათვის თავის არიდება ხშირად
დამოკიდებულია მომსახურების პროვაიდერებზე ან ყოფილ
აღმზრდელებზე.

ბავშვთა უფლებების კომიტეტმა თავის ანგარიშში განიხილა
ეს საკითხი და აღნიშნა, რომ „ინსტიტუციონალიზებული
ბავშვები ქმნიან სეგრეგირებულ ქვეკლასს, თვრამეტი წლის
ასაკის მიღწევას შემდეგ მათ წინაშე ბევრი გამოწვევა დგება
საზოგადოებაში ადაპტირების თვალსაზრისით.“ სიტუაცია
განსაკუთრებით შემამფოთებელია განსაკუთრებული
საჭიროებების მქონე ახალგაზრდებისათვის ახალგაზრდების
უმუშევრობის ფონზე (38%). ეს მონყვლადი ჯგუფი არ არის
მთავრობის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს შორის.

არ არსებობს ზრუნვის ასაკიდან გასული ახალგაზრდების
მონაცემთა ერთიანი ინტეგრირებული ბაზა. SOS-ის
„ბავშვთა სოფლი“-ს მიერ მომზადებული ანალიზი ეყრდნობა
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიერ ჩატარებულ
კვლევას სახელმწიფო ზრუნვიდან ბიოლოგიურ ოჯახებში
დაბრუნებული 1518 წლის ახალგაზრდების შესახებ. 2007



ChildPact

COALITION FOR CHILD PROTECTION
IN THE WIDER BLACK SEA AREA



Empowered lives.
Resilient nations.

წელს ამ ბავშვებიდან 199-მა დატოვა სახელმწიფო ინსტიტუცია, 15-მა დატოვა მინდობითი აღზრდა, 14-მა მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ხოლო 8-მ SOS-ის ზრუნვის სისტემა (ასაკი: 15–23 წელი). 2008 წელს 15–18 წლის ასაკის 679 - ახალგაზრდა იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვაში: 74 მინდობით აღზრდა, 12 მცირე საოჯახო ტიპის სახლში და 31 SOS ბავშვთა სოფელის სახლებში. პასუხისმგებელ სამსახურებს არ გააჩნიათ ერთიანი მონაცემთა ბაზა ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების შესახებ და არა გროვიტენ მონაცემებს ინდიკატორების მიხედვით, როგორცაა: განათლება, დასაქმება და ტრენინგი, უსახლკარობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, სამართალდარღვევა და დანაშაული, ითუ ზრუნვიდან გასული რამდენი ახალგაზრდა ხდება მშობელი.

ახალგაზრდები, რომლებიც დიდი ზომის ტოვებენ, ყველაზე დაუცველი ჯგუფია, რადგან მათი განათლების დონე ძალიან დაბალია (აკადემიური მიღწევების და უმაღლეს განათლებაში ჩართულობის თვალსაზრისით), სამუშაოს ძიებისას კი ბევრი წინააღმდეგობა ხვდებათ. ახალგაზრდებთან ჯგუფური დისკუსიისას გამოვლინდა, რომ ათგან მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობას ჰქონდა საჭირო უნარები და მუშაობის ჩვევები; აღნიშნული უნარ-ჩვევების გამომუშავების გარეშე ამ ახალგაზრდებს არა აქვთ დანყების მოტივაცია. ზრუნვიდან გამსვლელი ახალგაზრდების უმრავლესობას არა აქვს წარმოდგენა რისი გაკეთება სურთ მომავალში. მისაბამი ადამიანები ს/ როლური მოდელები ს და საკუთარ ი პოტენციალს ისინი აღიარებენ განათლებ ის მნიშვნელობას, მაგრამ სკეპტიკურ ნი რჩებიან მოწინააღმდეგე.

ფოკუსჯგუფების მონაწილე ვაჟთა უმრავლესობამ გამოთქვა ჯარში წასვლის სურვილი. მათ არა აქვთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო საბაზისო უნარები, როგორცაა ბიუჯეტის მართვის უნარი, ასევე არა აქვთ სწავლისა და მუშაობისთვის საჭირო ჩვევები. ამ უნარების გარეშე ზრუნვიდან გასული ბევრი ახალგაზრდა ხდება უსახლკარო და ქუჩაში უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, შესაბამისად, ერთვება პროსტიტუციასა და დანაშაულებრივ საქმიანობაში.

სიტუაცია ასეთი მძიმე არ არის მათთვის, ვინც მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან გადის, რადგან ამ გარემოში ბავშვები იღებენ მეტი ინდივიდუალურ ყურადღებას და უნარების განვითარების მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩართულობა უმაღლესი განათლების სისტემაში ძალიან დაბალია, ბევრი მათგანი იღებს პროფესიულ განათლებას და მხარდაჭერას სამუშაოს ძიებისას მათი პოტენციალი.

მინდობით აღზრდაში მყოფ ახალგაზრდებს განათლების მიღების ისეთივე შესაძლებლობები აქვთ, როგორც ბიო-

ლოგიურ ოჯახებში მცხოვრებ თანატოლებს. SOS-ის სახლებში მცხოვრები ბავშვები უკეთ არიან მომზადებული კომუნიკაციის უნარებში, მეტი მიღწევები აქვთ განათლებაში, უკეთესი დამოკიდებულება აქვთ სწავლის მიმართ და შესაბამისად დასაქმების მეტი შანსი. ისინი უფრო დარწმუნებულნი არიან საკუთარ შესაძლებლობებში და იღებენ სოციალურ და ემოციურ მხარდაჭერას.

SOS “ბავშვთა სოფელი” ახალგაზრდების 63% სწავლობს ხელობას, 28% გადის პროფესიული სწავლების სერთიფიცირებულ კურსებს, ხოლო 34% განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ზრუნვიდან გასულს შორის დასაქმების მაჩვენებელი 42%-ია; 26%-ის შემოსავალი მინიმალურ ხელფასზე მეტია; თუმცა მხოლოდ 3%-ს აქვს სოციალური მხოლოდ 17%-ს აქვს არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები; 9%-ს ესაჭიროება სამედიცინო დახმარება; 3% პროცენტი ალკოჰოლზე დამოკიდებულია; 8% ახალგაზრდებისა უკვე მშობლები არიან და 2% პროცენტი არის მარტოხელა მშობელი (SoS Kinderdorf, 2008). ზრუნვიდან გასვლის შემდეგ ზრდასრულობაში წარმატებული გადასვლა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: 1) ზრუნვის დატოვების ნათელი და ზუსტი გეგმა; 2) ზრუნვიდან გამსვლელთათვის რესურსების ეფექტური მობილიზება; 3) უწყვეტი მხარდაჭერის და ზედამხედველობის სისტემა. სამწუხაროდ, უცნობი რჩება ზრუნვიდან გასული უსახლკარო ახალგაზრდათა რაოდენობა სხვა სახელმწიფო სერვისების მიმოდებლებისაგან.

დღესდღეობით, სახელმწიფო ზრუნვის ფორმები მოიცავს შემდეგს: მინდობითი აღზრდა (930 ბავშვი არის განთავსებული მინდობითი აღზრდის ყველა ფორმაში), მცირე საოჯახო ტიპის სახლი (340 ბავშვი) და ინსტიტუციონალური ზრუნვა (დაახლოებით 200 ბავშვი). ეს მონაცემები არ მოიცავს საქართველოს საპატრიარქოს კერძო თავშესაფრებს და ინსტიტუციებს.



930

ბავშვი არის განთავსებული მინდობითი აღზრდის ყველა ფორმაში



340

ბავშვი - მცირე საოჯახო ტიპის სახლი



200

დაახლოებით 200 ბავშვი - ინსტიტუციონალური ზრუნვა



ChildPact

COALITION FOR CHILD PROTECTION
IN THE WIDER BLACK SEA AREA



Empowered lives.
Resilient nations.

ზრუნვის ასაკიდან გასული ახალგაზრდები

არ არსებობს რაიმე ერთიანი, ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც ასაკიდან გამომდინარე გადაიან ზრუნვიდან. ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის საქართველოს კოალიციის შეფასებით, ყოველწლიურად 35-40 ადამიანი ტოვებს.

ბავშვთა კეთილდღეობისათვის მომსახურებების უზრუნველყოფის ძირითადი პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება. მთავრობის ვალდებულება ბავშვთა დაცვის შესახებ მოიცავს შემდეგს: „საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, 2006“, „საქართველოს კანონი ოჯახური ძალადობის პრევენციის შესახებ, 2006 „საქართველოს კანონი მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის ; „ბავშვთა დაცვის ეროვნული გეგმა 2012-2015 „ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, 2014“ და სხვა.

ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის ფუნქციას ასრულებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო. ამ ეტაპზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვთა კეთილდღეობის დეპარტამენტი მუშაობს ბავშვებისა და ოჯახების მომსახურებისა და შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიაზე, ახორციელებს ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამების მონიტორინგს და უზრუნველყოფს ფინანსურ და მხარდაჭერ მომსახურებებს. ბავშვთა კეთილდღეობის დეპარტამენტი მუშაობს სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით. მაგალითად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები კონტრაქტი ს საფუძველზე ხდებიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებს ის ა და დღის ცენტრებს მომსახურების მიმწოდებლები. ბავშვთა და ახალგაზრდების საკითხებზე ძირითადად მუშაობენ: გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, SOS ბავშვთა სოფელი, Every Child, World Vision, Breath Georgia, და Save the Children. კონსულტაციების, ტრენინგების, სასწავლო ვიზიტებისა და პილოტური პროექტების დაფინანსების გზით, ისინი ეხმარებიან სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის და პოლიტიკის განვითარებაში. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ სამთავრობო პროგრამებში. ევროკავშირის მხარდაჭერით 2006 – 2010 წლებში განხორციელდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროექტი. მას შემდეგი მიზანი ჰქონდა: რეფორმების განხორციელების მიზნით ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის და მეორადი კანონმდებლობის შემუშავების ხელშეწყობა.

სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო

საქართველოს მონყვლადი ახალგაზრდობის იმედით აღსავსე მომავლის და პოტენციის უზრუნველსაყოფად საჭიროა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების ერთობლივი ძალისხმევა ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის მექანიზმების შექმნის მიზნით.

ზრუნვიდან გასვლა მრავალი წლის განმავლობაში არ იყო სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი; თითქმის არ არსებობს ზრუნვის შემდგომი მომსახურებების მარეგულირებელი სამართლებრივი დებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა კეთილდღეობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2012-2015) შეიცავს მუხლს ზრუნვიდან გამოსვლელთა განათლების და ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარების შესახებ, ის არ უზრუნველყოფს კონკრეტულ მხარდაჭერას საცხოვრისის, კომუნალური უზრუნველყოფის, დასაქმების, პროფესიული ორიენტაციის, ფსიქო-სოციალური დახმარებისა და სხვა მიმართულებით.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კოალიციამ ბავშვთა კეთილდღეობისათვის წარმოადგინა შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც გამომდინარეობს გარემოების ანალიზისა და სამიზნე ჯგუფებთან კონსულტაციების შედეგებიდან (ძირითადად ეროვნული კოალიციის ახალგაზრდული კომიტეტის წევრები):

ახალგაზრდების გაძლიერება ცხოვრებისათვის საჭირო უნარებით: ეს გულისხმობს ახალგაზრდებში ყოველდღიური პრაქტიკული უნარების და შესაძლებლობების განვითარებას, როგორცაა, მაგალითად: ჯანდაცვა, სქესობრივი განათლება, ვიზუალური შესახედაობა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებების გაძლოა, ბიუჯეტის მართვა, ინტერესების განვითარება, ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან და სხვა (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, მომსახურების მომწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, მინდობით აღმზრდელი მშობლები, სოციალური მუშაკები, აღმზრდელეები, ახალგაზრდა მუშაკები და სხვა) (ადგილობრივი ხელისუფლება და მუნიციპალური სოციალური პროგრამები).

- ახალგაზრდების ემოციური სტაბილურობა:** ითვალისწინებს შემდეგს - საკუთარ თავზე ზრუნვა, მზაობა სხვების დასახმარებლად, მომავლის რეალისტური და ოპტიმისტული აღქმა და მოლოდინი (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, მომსახურების მომწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, მინდობით აღმზრდელი მშობლები,



ChildPact

COALITION FOR CHILD PROTECTION
IN THE WIDER BLACK SEA AREA



სოციალური მუშაკები, აღმზრდელები, ახალგაზრდული მუშაკები და სხვა).

- **კოგნიტიური და სოციალური უნარების განვითარება ახალგაზრდებში:** კომუნიკაციის, კონფლიქტის მართვის, კრიტიკული აზროვნების, ურთიერთობების ჩამოყალიბების, ქსელების ფორმირების და სხვა უნარების განვითარება (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, მომსახურების მომწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, მინდობით აღმზრდელი მშობლები, სოციალური მუშაკები, აღმზრდელები, ახალგაზრდული მუშაკები და სხვა).
- **ახალგაზრდების პროფესიული განათლების ხელშეწყობა** გულისხმობს ახალგაზრდების ჩართვას ზოგად განათლებაში ინტერესების და უნარების შესაბამისად, დამატებით პროფესიულ სწავლებას პროფესიის შექმნაში მხარდაჭერის მიზნით (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, მომსახურების მომწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, მინდობით აღმზრდელი მშობლები, სოციალური მუშაკები, აღმზრდელები, ახალგაზრდული მუშაკები და სხვა).
- **ახალგაზრდების დასაქმება და შემოსავლიანობა** სამუშაოს ძიებას, დასაქმებას და ხელმისაწვდომობას შემოსავლის სტაბილურ წყაროზე (მომსახურების მომწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, ადგილობრივი ბიზნესპარტნიორები, მუნიციპალიტეტები, დასაქმების კონსულტანტები, სოციალური მუშაკები, ახალ-

გაზრდული მუშაკები და სხვა), (პარლამენტი და ფინანსთა სამინისტრო).

- **საცხოვრისი საკითხების მოგვარება** ეხება ახალგაზრდების მუდმივი ან დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფას (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ადგილობრივი სამმართველო, მერიის სამსახურები, საკრებულოები და სხვა).
- **პროფესიების განვითარება/პილოტირება** ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს გარდამავალ პერიოდში (გულისხმობს არსებული ინსტიტუციების განვითარებას, როგორცაა აღმზრდელი, მინდობით აღმზრდელი მშობლები, ასევე ახალი პროფესიების შემოღებას, მაგალითად, ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტი (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო).
- **ხელმისაწვდომი პროგრამები/მომსახურებები** ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის, განურჩევლად სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ჯანმრთელობის სტატუსის ან სხვა შეზღუდვისა. (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ადგილობრივი ხელისუფლება და მუნიციპალური სოციალური პროგრამები).

ზრუნვის სისტემის დატოვების კონცეფცია ითვალისწინებს პროცესს, რომელიც ამზადებს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ (14-18 წლის) ახალგაზრდას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის სახელმწიფო ზრუნვის დატოვების შემდეგ (18-23 წელი).

შეთავაზებული რეკომენდაციები პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმების შემდეგ პროგრამულად აისახება დეტალურ დოკუმენტში.

